

• Visegrad Fund

კომუნალური სერვისების რეგულირება ჩეხეთში (მნიშვნელოვანი ინიციატივების მიმოხილვა)

ავტორები:

ონდრეი კოპეცკი, დოქტორი მილან შასნი
კარლის უნივერსიტეტი, გარემოს დაცვის ცენტრი

პროექტი:

ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება
კომუნალური მომსახურების რეგულირების შესახებ

თარიღი: ნოემბერი, 2024



CHARLES UNIVERSITY
Environment Centre

1. ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია

ჩეხეთის ენერგეტიკულ სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესის პარალელურად, ჩეხეთის ენერგეტიკული აქტის საფუძველზე (აქტი No. 458/2000). ფუნდამენტურ ინოვაციას წარმოადგენდა საბოლოო მომხმარებლისთვის ენერჯიაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის გაყოფა რეგულირებად და საბაზრო კომპონენტებად.

გადაცემის, განაწილებისა და განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის რეგულირებადი კომპონენტების რაოდენობის განსაზღვრა ჩეხეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის (ERO) კომპეტენციაა, რომელიც აღნიშნული კანონის საფუძველზე 2001 წელს დაარსდა. ამ მიმართულებით ERO ახორციელებს რეგულირებადი გადასახადების რაოდენობის ოპტიმიზაციას ორი ძირითადი მიზნის მიღწევით, როგორცაა მომხმარებელთათვის საფასურის მდგრადობის შენარჩუნება და ამავდროულად, გადაცემისა და განაწილების სისტემის განვითარებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვა. ბოლო წლებში ელექტროენერჯის ფასის რეგულირებადი კომპონენტის წილი გადასახადის გარეშე საბოლოო ფასის დაახლოებით 50%-ს შეადგენს.

ელექტროენერჯის ბაზრის ლიბერალიზაცია ელექტროენერჯის ბაზრის კონკურენციისთვის გახსნის პარალელურად წარიმართა. ERO პასუხისმგებელია ელექტროენერჯით მოვაჭრეების ლიცენზირებაზე, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიჰყიდონ ელექტროენერჯია იმ მომხმარებლებს, რომლებიც ყიდულობენ მას ენერგეტიკულ ბირჟაზე. ERO-სა და OTE-ს (ჩეხეთის ელექტროენერჯის ბაზრის ნომინირებული ოპერატორი (NEMO)) ზედამხედველობით, ელექტროენერჯით ვაჭრობა ჩეხეთში ხორციელდება PXE-ზე (თავდაპირველად პრადის ენერგეტიკული ბირჟა, ამჟამად Deutsche Börse ჯგუფის ნაწილი) 2007 წლიდან, რაც ჩეხეთის ბაზარს ევროპულთან აერთიანებს. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ ენერჯიაზე ფასები განისაზღვრებოდეს ბაზრის დინამიკით და არა ცენტრალიზებული კონტროლით, რაც ხელს უწყობს კონკურენციას და მომხმარებელთა სარგებელს მიმწოდებლის შეცვლის შესაძლებლობის გამარტივებით.

2020 წელს ERO-მ დაწერა ონლაინ შედარების პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს ეხმარება რეალურ დროში შეადარონ ელექტროენერჯისა და გაზის მიმწოდებლები ფასწარმოქმნის, მომსახურების ხარისხისა და კონტრაქტის მოქნილობის საფუძველზე. ეს სისტემა აკავშირებს სამომხმარებლო ფასწარმოქმნის გეგმებს ბაზრის პირობებთან რეალურ დროში, ასახავს მიწოდება-მოთხოვნასთან დაკავშირებულ რყევებსა და განახლებადი ენერჯის ხელმისაწვდომობას. პლატფორმა ასევე მხარს უჭერს ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივას (2009/28/EC), რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მოიძიონ მწვანე ენერჯიასთან დაკავშირებული ალტერნატივები, რაც აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. მაგალითად, მზის ან ქარის ენერჯის მაღალი გამომუშავების პერიოდში, ელექტროენერჯის ხარჯები იკლებს, რაც მომხმარებლებს უბიძგებს გადავიდნენ უფრო ეკოლოგიური და არაპიკური მოხმარების დროზე.

ბაზარზე დაფუძნებული ჩარჩო ასევე ზრდის ეფექტიანობას და ხელს უწყობს მიმწოდებლებს გაამარტივონ ოპერაციები და დაწერონ ინოვაციები. ეს ცვლილება გულისხმობს ტრადიციული ფიქსირებული ტარიფების შეცვლას და ხელს უწყობს იმ კომპანიებს, რომლებიც მომხმარებლებს

სთავაზობს კონკურენტულ ტარიფებს, რაც თავის მხრივ, აძლიერებს განახლებადი ენერჯის როლს ენერგეტიკულ ქსელში. საბოლოო ჯამში, საბაზრო ფასები შესაბამისობაშია ენერგეტიკული პოლიტიკის გრძელვადიან მიზნებთან, მათ შორის მდგრადობასთან, ადეკვატურობასთან და ქსელის საიმედოობასთან.

2. ინვესტირება განახლებად ენერჯიაში

ჩეხეთმა დაისახა ამბიციური მიზნები მწვანე ენერჯის წარმოებისთვის, რაც გულისხმობს ნახშირბადის ემისიების შემცირებასა და განახლებადი ენერჯის წყაროების გაზრდას. ეს ვალდებულება შესაბამისობაშია ევროკავშირის განახლებადი ენერჯის შესახებ დირექტივასთან (2009/28/EC) და ჩეხეთის ენერგეტიკის აქტთან (No. 458/2000), რომლებიც მხარს უჭერენ დაბალნახშირბადიან და მდგრად ენერგეტიკულ სისტემებზე გადასვლას.

ჩეხეთი აქტიურად უწყობს ხელს განახლებადი ენერჯის განვითარებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია მწვანე ტარიფის (FiT) სისტემა. ეს სისტემა 1990 წლიდან დაინერგა მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა და ქარის ტურბინების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. FiT პროგრამის წარმატებული მაგალითია მცირე მასშტაბის ბიოგაზის დანადგარების მხარდაჭერა, განსაკუთრებული აქცენტით სოფლის მეურნეობის საწარმოებზე. ამ ობიექტებს ფინანსური სტიმულები ეძლევათ ორგანული ნარჩენების, მაგალითად, სოფლის მეურნეობის ნარჩენების ბიოგაზად გარდაქმნისთვის, რომელიც შემდგომ გამოიყენება ელექტროენერჯის წარმოებისთვის. ეს ინიციატივა არა მხოლოდ ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წარმოებას, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნარჩენების მართვის პრობლემების გადაჭრაში და ქმნის წრიულ ეკონომიკას სოფლის მეურნეობის ქვეპროდუქტებისთვის.

ჩეხეთში მწვანე ტარიფი რეგულირდება ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის (ERO) მიერ, რომელიც ახორციელებს ტარიფების განაწილებას სხვადასხვა განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის. ეს ტარიფები შექმნილია განახლებადი ენერჯის მწარმოებლებისთვის გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ისინი ამცირებს ფინანსურ რისკებს, ინვესტიციებს მწვანე ტექნოლოგიებში უფრო მიმზიდველს ხდის და უზრუნველყოფს, რომ მწარმოებლებმა ფიქსირებული ფასი მიიღონ გამომუშავებული და სახელმწიფო ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯისთვის. ჩეხეთში მწვანე ტარიფის სისტემა წარმატებით დაინერგა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მწვანე ენერჯის ტექნოლოგიებში კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდას. განახლებად ელექტროენერჯიაზე გარანტირებული ფასების შეთავაზებით, სისტემამ ეფექტურად შეამცირა განახლებადი ენერჯის ინვესტიციებთან დაკავშირებული არსებული რისკები, რაც საშუალებას აძლევს მას გადაიზარდოს ქვეყნის ენერგეტიკული ბაზრის კონკურენტულ სეგმენტად. FiT სისტემა ფინანსდება განახლებადი ენერჯის წყაროების საფასურის მეშვეობით, რომელსაც მომხმარებლები ელექტროენერჯის ფასის კომპონენტად იხდიან. მისი წლიური ღირებულება რამდენიმე მილიარდ ჩეხურ კრონს შეადგენს.

ბოლო პერიოდში აღნიშნული მიზნების მხარდასაჭერად მთავარი ინიციატივა გახდა **ახალი მწვანე დანაზოგების პროგრამა** (NZU – Nová zelená úsporám), რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ განახორციელა. ეს პროგრამა გაგრძელებაა მწვანე დანაზოგების პროგრამისა (2009–2012), რომლის ადმინისტრირებასაც ჩეხეთის გარემოსდაცვითი სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფდა. ახალი მწვანე დანაზოგების პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური

პროგრამა ჩეხეთში, რომელიც ორიენტირებულია ენერჯის დაზოგვაზე კერძო საცხოვრებელ სახლებსა და მრავალბინიან შენობებში. პროგრამის პირველი ფაზა ამოქმედდა 2014 წელს და გრძელდებოდა 2021 წლამდე. პროგრამა ითვალისწინებდა სუბსიდიებს შინამეურნეობებისთვის და საწარმოებისთვის მზის პანელების დამონტაჟებისა და განახლებადი ენერჯის სხვა ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. პროგრამა ორიენტირებულია საცხოვრებელ კორპუსებში ენერჯის მოხმარების შემცირებაზე (დათბუნების გზით), ისეთი სახლების მშენებლობაზე ან შექმნაზე, სადაც ენერჯის მოხმარება ძალიან დაბალია, ეკოლოგიურად სუფთა გათბობის მეთოდებზე, განახლებადი ენერჯის წყაროებზე და ასევე ადაპტაციისა და შემარბილებელი ღონისძიებების საპასუხოდ მიმდინარე კლიმატის ცვლილებაზე. 2014-2021 წლებში 77 000 ბენეფიციარმა ისარგებლა აღნიშნული პროგრამით და მიიღო ჯამში 11 მილიარდი ჩეხური კრონი. ახალი მწვანე დანაზოგების პროგრამა დაფინანსდა ევროკავშირის სავაჭრო სისტემის ერთეულებისა (EUA) და ევროკავშირის სავაჭრო სისტემის ერთეულების (EUAA) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებით. პროგრამის ახალი პერიოდი (NZU II ფაზა) დაიწყო 2021 წელს. დაფინანსების წყაროა ევროკავშირის მომავალი თაობის ფონდი (The Next Generation EU Fund), ეროვნული აღდგენის გეგმის მეშვეობით. ევროპის ეკონომიკის აღდგენისა და მდგრადი განვითარების კომპლექსური გეგმა (RRF) წარმოადგენს დროებით ინსტრუმენტს, რომელიც NextGenerationEU-ის გეგმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ეკონომიკის გაძლიერებასა და მედეგობის უზრუნველყოფას მიმდინარე კრიზისის შემდეგ. გეგმის მეშვეობით კომისია იზიდავს ფინანსურ რესურსებს კაპიტალის ბაზრებზე სესხების აღებით (ევროკავშირის სახელით ობლიგაციების გამოშვებით). შემდეგ ისინი ხელმისაწვდომი ხდება მისი წევრი ქვეყნებისთვის ამბიციური რეფორმებისა და ინვესტიციების განსახორციელებლად. მთლიანობაში, ამ პროგრამის ფარგლებში, 287 000 პროექტი განხორციელდა და გამოიყო 57 მილიარდი ჩეხური კრონი, რის შედეგადაც საშუალო საინვესტიციო მხარდაჭერა იყო დაახლოებით 200 000 ჩეხური კრონი ერთ პროექტზე ([www.https://novazelenausporam.cz](https://novazelenausporam.cz)). მონაწილეებს, რომლებიც ამონტაჟებენ განახლებადი ენერჯის სისტემებს, ასევე შეუძლიათ ჭარბი ელექტროენერჯის ქსელში დაბრუნება, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ ენერგომომარაგებას. ეს მხარს უჭერს ქვეყნის განახლებადი ენერჯის მიზნებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრადიციულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებაში.

3. ენერგოეფექტურობა

ჩეხეთის წარმატება ენერგოეფექტურობის მიმართულებით განპირობებულია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ინოვაციურ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ენერჯის მოხმარებისა და ხარჯების შემცირებას. ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტია ენერგეტიკის მართვის აქტი (აქტი No. 406/2000). წინა პერიოდის პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც დიდწილად კონცენტრირებული იყო სამრეწველო ენერჯის შემცირებაზე, ეს რეგულაციები პრიორიტეტს ანიჭებს სამშენებლო სექტორს, რაც ენერჯის მოხმარებისა და სათბურის გაზების ემისიების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კანონი ადგენს მკაცრ ენერგეტიკულ სტანდარტებს ახალი მშენებლობისთვის და მხარს უჭერს ძველი შენობების ეფექტურობის თანამედროვე დონემდე განახლებას. ეს მიდგომა აღიარებს, რომ შენობებზე მოდის ეროვნული ენერჯის მოხმარების მნიშვნელოვანი წილი და ამ პრობლემების მოგვარება უმთავრესია ჩეხეთის კლიმატისა და ენერგეტიკის მიზნების მისაღწევად.

ახალი მწვანე დაზოგვის პროგრამა (იხ. პუნქტი 2) შეესაბამება პაკეტს „სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ენერგოეფექტური შენობების განახლებასა და განახლებადი ენერჯიის დანადგარების ხელშეწყობას. სუბსიდიები მოიცავს ისეთ მოდიფიკაციებს, როგორცაა თანამედროვე დათბუნება, ენერგოეფექტური ფანჯრები და მოწინავე გათბობის სისტემები.

2016 წელს გატარებული ინიციატივა მოითხოვდა, რომ ყველა ახალმა საზოგადოებრივმა და საცხოვრებელმა შენობამ დააკმაყოფილოს შენობაში ენერჯიის თითქმის ნულოვანი მოხმარების (nZEB) სტანდარტები. ეს წესები, რომლებიც განსაზღვრულია შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონით და მხარდაჭერილია სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკით, უზრუნველყოფს, რომ ახალი მშენებლობების დროს გათვალისწინებულია შენობის დათბუნება, ეფექტიანი განათება და განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიები, როგორცაა მზის პანელები და თბური ტუმბოები. კერძოდ, საზოგადოებრივმა შენობებმა უნდა მისცენ მაგალითი სხვებს ნაგებობების მდგრადობის კუთხით, განახლებადი ენერჯიის სისტემების, როგორც მათი პროექტის ნაწილის, ინტეგრირების გზით.

მცირე მასშტაბის ჰკვიანი ქსელის სისტემა წარმოადგენს კიდევ ერთ მიმართულებას, რომელიც მხარდაჭერით სარგებლობს. ის გულისხმობს მორგებული ჩარჩოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ელექტროენერჯიის წარმოების, მოხმარებისა და განაწილების ეფექტურ მართვას პატარა, ლოკალიზებულ ქსელში. მხარდაჭერის სისტემა მცირე მასშტაბის ჰკვიან ქსელში ხელს უწყობს მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებას რეალურ დროში, მოთხოვნაზე რეაგირების მართვას, ენერჯიის საცავის სისტემების (მაგ., ბატარეების) ინტეგრირებას და გათიშვაზე ან ქსელის გაუმართაობაზე რეაგირებას. ეს ჩარჩო ხელს უწყობს მცირე ბიზნესის, საცხოვრებელი ფართების ან ადგილობრივი მიკროქსელების თვითკმარობას.

მდგრადობის კულტურის ხელშეწყობით, მიზანმიმართული სამართლებრივი ღონისძიებებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული პროგრამების მეშვეობით, ჩეხეთი ამცირებს ენერჯიის მოხმარებას, ხარჯებს და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას. ეს ღონისძიებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის 2030 წლის ენერგეტიკისა და კლიმატის მიზნების მიღწევისთვის, რაც უზრუნველყოფს სარგებელს როგორც მომხმარებელთათვის, ისე გარემოსთვის.

4. ემისიებით ვაჭრობა და ბაზრის დინამიკა ჩეხეთში

ჩეხეთი წარმოადგენს ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის (EU ETS) ნაწილს, რომელიც შექმნილია ენერგოსექტორში ნახშირბადის გამონაბოლქვის შესაზღვრად და შესამცირებლად 2005 წლიდან. ამ სისტემის მიხედვით, ელექტროსადგურებსა და მსხვილ სამრეწველო ობიექტებს უნდა ჰქონდეთ კვოტები CO₂-ის ყოველ გაფრქვეულ ტონაზე და გაფრქვევების საერთო ზღვარი თანდათან უნდა შემცირდეს დროთა განმავლობაში. ენერგეტიკის მართვის აქტის (No. 406/2000) და ჰაერის დაცვის აქტის (No. 201/2012) მეშვეობით, ჩეხეთის მთავრობა უზრუნველყოფს ამ სისტემის შესაბამისობას, გასცემს კვოტებს გაფრქვევებზე და ახორციელებს მონიტორინგს.

ჩეხეთში კომპანიებმა უნდა იყიდონ კვოტები გაფრქვევებზე (EUAs), რათა დაფარონ CO₂-ის გაფრქვევები ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის (EU ETS) ფარგლებში. ჩეხეთის

ელექტროენერჯის ბირჟა (PXE) თამაშობს მნიშვნელოვან როლს ამ ბაზარზე, ხელს უწყობს კვოტების ყიდვა-გაყიდვას და ეხმარება კომპანიებს კონკურენტულ გარემოში ნახშირბადის ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაში. ნახშირბადის ღირებულება, რომელიც ასახულია კვოტების ფასში, ხელს უწყობს კომპანიებს, დანერგონ უფრო სუფთა ტექნოლოგიები. მაგალითად, ენერჯის ისეთი მსხვილი მწარმოებელი, როგორცაა ČEZ, მოტივირებულია ინვესტიციები განახორციელოს განახლება ენერჯისა და ენერგოეფექტურობაში, რადგან ემისიების შემცირება არა მხოლოდ მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს, არამედ ქმნის შემოსავლის ნაკადს ზედმეტი კვოტების გაყიდვით. დაბალემისიან კომპანიებს შეუძლიათ მოგება ნახონ ზედმეტი კვოტების გაყიდვით, ხოლო მათ, ვისაც უფრო მაღალი ემისიები აქვთ, შესაძლოა, მეტი კვოტის შეძენა დასჭირდეთ თავიანთი ლიმიტების შესასრულებლად.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი (ERO) მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგულაციების აღსრულებაში და ზედამხედველობას უწევს ემისიების კვოტების განაწილებას. ემისიების შემდგომი შემცირების წახალისების მიზნით, ქვეყანა უფასო კვოტების განაწილებიდან აუქციონებზე გადადის, რაც უკეთ შეესაბამება ემისიების შემცირების საბაზრო მექანიზმებს. ეს სისტემა გადამწყვეტია ევროკავშირის კლიმატის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, რაც ასევე გულისხმობს 2030 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების შემცირებას 55%-ით.

5. ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა - მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა და საკონსულტაციო პროცესი

ევროპის კლიმატის კანონით (რეგულაცია (EU) 2021/1119) განისაზღვრა ევროკავშირის ვალდებულება, გახდეს კლიმატ-ნეიტრალური 2050 წლისთვის და შეამციროს სათბურის გაზების ემისიები მინიმუმ 55%-ით 2030 წელს 1990 წელთან შედარებით, როგორც ევროპის კონტრიბუცია პარიზის შეთანხმების მიზნების მიღწევაში. 2024 წელს, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ევროკავშირის სათბურის გაზების ემისიების 90%-ით შემცირებას 2040 წლისთვის 1990 წელთან შედარებით. ევროკავშირის 2040 წლის სამიზნე კომუნიკეში, კომისიამ დაჰყო ემისიის შემცირების 90%-იანი სამიზნე მაჩვენებელი 850 MtCO₂-ზე ნაკლებ ნარჩენ ემისიებად 2040 წლისთვის, საიდანაც მაქსიმუმ 400 MtCO₂ გაიქვითება სამრეწველო და სახმელეთო გადაწყვეტების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკე არ უწყობს რაიმე სამართლებრივ ვალდებულებებს ევროკავშირს, ის იქნება კომისიის მომავალი წინადადების საფუძველი, რომ შეცვალოს ევროპის კლიმატის კანონი 2030 წლის შემდგომი კლიმატის პოლიტიკის დღის წესრიგის ფარგლებში. სავარაუდოდ, წინადადება მიღებული იქნება კომისიის მიერ 2025 წლის პირველ კვარტალში. დამტკიცების შემდეგ კი 2040 წლის სამიზნე მაჩვენებელი ეროვნულ დონეზე ევროკავშირის განახლებული განსაზღვრული კონტრიბუციის (NDC) საფუძველი გახდება პარიზის შეთანხმების ფარგლებში, რომელიც წარდგენილი იქნება COP30-მდე, 2025 წლის ნოემბერში.

ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმები (NECPs) დამტკიცდა ენერგეტიკული კავშირის მმართველობისა და კლიმატის მოქმედების შესახებ რეგულაციით (EU) 2018/1999, რომელიც შეთანხმებულია, როგორც “სუფთა ენერჯია ყველა ევროპელს” პაკეტის ნაწილი და მიღებულ იქნა 2019 წელს. ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმები წარმოადგენს მთავარ დოკუმენტს

ევროკავშირის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციის (NDC) მომზადებაში. ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის მიერ მომზადებული საბოლოო NECP-ების საფუძველზე (2019 წლის ბოლომდე), კომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო NECP-ების დეტალური შეფასება ევროკავშირის მასშტაბით (2020 წლის სექტემბერი). 2023 წლის ივნისის ბოლოს წევრ სახელმწიფოებს უნდა წარმოედგინათ განახლებული NECP-ის პროექტები მმართველობის რეგულაციის მე-14 მუხლის შესაბამისად. 2023 წლის 24 ოქტომბერს კომისიამ გამოაქვეყნა NECP-ის პროგრესის ანგარიშების ტექნიკური შეფასება ევროკავშირის ენერგეტიკისა და კლიმატის მიზნების მისაღწევად. 2023 წლის 18 დეკემბერს კომისიამ გამოაქვეყნა განახლებული NECP-ის პროექტის შეფასება ევროკავშირის მასშტაბით, ცალკეულ შეფასებებთან და რეკომენდაციებთან ერთად ცალ-ცალკე 21 წევრი სახელმწიფოსთვის (რომლებმაც დროულად წარადგინეს თავიანთი გეგმების პროექტი). წევრ სახელმწიფოებს უნდა წარედგინათ თავიანთი საბოლოო განახლებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმები (NECP) 2024 წლის 30 ივნისისთვის, მაგრამ (2024 წლის ნოემბერი), ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოს, მათ შორის ჩეხეთს, ჯერაც არ წარუდგენია საბოლოო განახლებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა (NECP).

ჩეხეთმა წარადგინა განახლებული გეგმის პროექტი 2023 წლის ოქტომბერში, საბოლოო გეგმა კი მას შემდეგ განხილვის პროცესშია. ჩეხეთი ევროკავშირის იმ რამდენიმე წევრ სახელმწიფოს შორისაა, რომლებსაც ჯერ არ წარუდგენიათ საბოლოო განახლებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა (NECP) (2024 წლის ნოემბერი).

მიუხედავად ამისა, არსებობს კარგი პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი. თავდაპირველად, განახლებული გეგმის პროექტი, განახლებულ სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკასა და კლიმატის დაცვის გეგმასთან ერთად, მომზადდა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის მჭიდრო თანამშრომლობით. შეიქმნა ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის (NECP) პლატფორმა (კოორდინირებულია მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ), რომელიც მოიცავს სხვა სამინისტროების, ბიზნეს ასოციაციების, პროფკავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთან, ეს სამივე დოკუმენტი მომზადდა დამოუკიდებელ კვლევებზე დაფუძნებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; კონკრეტულად, ენერგეტიკული გადასვლის სცენარების მოდელირების შედეგები ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა. კარლის უნივერსიტეტმა შექმნა და გამოიყენა ზემოქმედების შეფასების რამდენიმე მოდელი, მათ შორის ენერგეტიკული სისტემის TIMES მოდელი, მაკროეკონომეტრიული გლობალური E3ME მოდელი და მიკრო სიმულაციური მოდელი, ხოლო ენერგეტიკული სისტემის ოპტიმიზაციის შედეგები ვალიდურად ცნო ჩეხეთის გადამცემი სისტემის ოპერატორმა (ČEPS) დისპეტჩერული ენერგობლოკის მოდელის PLEXOS-ის გამოყენებით.